ცნობის ფურცელი

№ 2179 პარასკევი, 13 ივნისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2179

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში გოლოვინის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

4 მანეთი ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის მ. ს. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. მდივანაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. [illegible]—ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. მ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

მ. მ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი მ. დ. ნასარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი გედევანიშვილისა, №-21. (აგურადის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი
ვ. დამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხისკენ. ტელეფონი 612

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

გერმანია. „პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი სწერს: „ბებელის წინასწარმეტყველება, რომ სოციალ დემოკრატია დიდებულად და ბრწყინვალედ გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნების დროსო, სავსებით გამართლდა: კენჭის პირველ ჩამოტარებისთანავე პარტიამ გაიყვანა ყველა ძველი დეპუტატები და გარდა ამისა, ასზე მეტმა ხელ-ახალ არჩევნებში უნდა იყაროს კენჭი! 1898 წლის არჩევნების დროს პირველ კენჭის ყრაზე სოციალ-დემოკრატიის პარტიამ გაიყვანა მხოლოდ 32 კაცი, ეხლა კი 58 გაიყვანა. ხელ-ახალ არჩევნებზე უეჭველია 20—30 სოციალ-დემოკრატი იქმნება არჩეული, ეს კი იმას ჰნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია თავის წარმომადგენელთა რიცხვით მეორე პარტია იქმნება რეიხსტაგში... პირველი ადგილი, ალბად, ისევ ცენტრს დარჩება.

სოციალ-დემოკრატიის ასეთ გამარჯვებას, გარდა ბებელისა, არავინ მოელოდა თვით პარტიის მეთაურებ შორისაც. ისე ბერლინიდან მოსულ დეპეშას ვერ წაიკითხავ, რომ soc. (სოც.) არ მოგხვდეს თვალში. როგორ უნდა გავრცელებულიყოს ამ ხუთის წლის განმავლობაში სოციალ - დემოკრატიული იდეალები ან, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, როგორ უნდა გაზრდილიყოს უკმაყოფილება არსებულის წესებით, თუ მარტო 112 საარჩევნო ოლქში, ე. ი. ყველა ოლქების მესამედზე ნაკლებში, სოციალ-დემოკრატიის კანდიდატებს 1. 637,364 ხმა მოუვიდა: თითქმის ნახევარ მილიონით მეტი, ვიდრე წარსულ არჩევანზე!

რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობაში მეტად გახარებული იყოს პარტიის უმთავრესი გაზეთი, რომელიც ლაპარაკობს „მძლავრ, ყოვლის შემძლე და განმწმენდელ ქარიშხალზე, რომელიც რეაქციას დაატყდა თავზედ“-ო. მარტო ბერლინში წითელ დროშის პარტიას მოუვიდა 100 ათასით მეტი ხმა, ვიდრე 1898 წელს... ძველ რეიხსტაგში ბერლინს ჰყავდა წარმომადგენლად ორი თავისუფალი მოაზრე და ოთხი სოციალ-დემოკრატი. ეხლა-კი სოციალ-დემოკრატიის ხელში გადავიდა ერთბაშად ხუთი მანდატი, მეექვსე ოლქში-კი სოციალ-დემოკრატიას მაშინ დასძლევენ, თუ ყველა დანარჩენი პარტიები ერთსულ იმოქმედებენ მის წინააღმდეგ. ბერლინი თავისუფალ-მოაზრეთა მტკიცე სიმაგრე ეყო ერთ დროს. ეხლა-კი სოციალ-დემოკრატია მართალია, როცა ამბობს —„ბერლინი ჩვენი პარტიის სატახტო ქალაქი არისო და გერმანიაც ჩვენი სამეფოა“-ო.

რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, არც ერთი არ უნდა იყოს კმაყოფილი არჩევნების შედეგისა...

ესენში, სადაც შარშან გერმანიის იმპერატორმა მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა „ცილის-მწამებლებისა და მკვლელების პარტიის“ წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატს მოუვიდა 22000 ხმა წინა არჩევნების 4 ათასის მაგიერ.

სოციალ-დემოკრატიის ასეთ გამარჯვების გამო რას უნდა ჰფიქრობდეს მთავრობა? ვინ იცის, შეიძლება ახალი საგანგებო კანონები მოსთხოვოს რეიხსტაგს, რომ ამ გვარად შეაფერხოს დემოკრატიის განსაცვიფრებელი ზრდა. ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ცენტრი, რომელიც წინად წინააღმდეგი იყო ასეთ ღონისძიებისა, ეხლა მთავრობის ნებას დაჰყვება“.

საგანგებო კანონები ბისმარკმაც მოიხმარა, მაგრამ მხოლოდ შერცხვა. მის უნიჭო მემკვიდრეებს კიდევ უარესი მოუვათ, თუ გაბედეს და სცადეს ძველის გზის არჩევა.

„ლოკალ ანცაიგერ“-ის წერილი უფრო ადრეა დაბეჭდილი, როცა ჯერ კიდევ არ ყოფილა გამორკვეული ნამდვილი შედეგი პირველ კენჭის ყრისა. მაგრამ საზოგადო ხასიათი არჩევნებისა იქაც ეგრეა ნაჩვენები, მხოლოდ ერთის საყურადღებო მოსაზრების ზედ-დართვით: „სამი ფაქტი გამოირკვა ახალ არჩევნების მიზეზით—აგრარიების დამარცხება, ლიბერალების შესუსტება და დემოკრატიის შესამჩნევი გაძლიერება.

ლიბერალებმა დაჰკარგეს სულ უკანასკნელი მესამედი თავიანთ მანდატებისა. სოციალ-დემოკრატებმა-კი პირველ არჩევანებზევე 53 დეპუტატი გაიყვანეს. თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში შესამჩნევად გაიზარდა ამ პარტიის მომხრეების რიცხვი. სოფლის ოლქებშიაც კი მოჰმატებიათ თანამგრძნობები. ცენტრის მდგომარეობა არ შეცვლილა. კონსერვატორებმა ბევრი მანდატები დაჰკარგეს—მათი ადგილი სოციალ-დემოკრატებმა და თავისუფალ-მოაზრეებმა დაიკავეს. რადგან „სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება უმთავრესად ლიბერალების დამარცხების შედეგია, ამიტომ სატამოჟნო, სამხედრო და საზღვაო კითხვების გადაწყვეტის დროს ხმების განაწილება დიდათ არ იქმნა განსხვავებული ძველ რეიხსტაგის ხმების განაწილებისაგან“.

სერბია. „ობრენოვიჩების დინასტია დიდი უბედურება იყო სერბიისათვისო, სწერს ერთი გაზეთი.

...როცა 1858-ში ბელგრადში დააბრუნეს ობრენოვიჩების სამეფო სახლი, მაშინდელ ახალთაობის წარმომადგენელნი აღტაცებაში იყვნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ობრენოვიჩები ხელს არ ახლებდნენ ხალხის თავისუფლებას ..

წამებულ მეფე მიხეილის მეფობას თავისი კარგი მხარეები ჰქონდა: მან შემოიღო ბევრი არსებითი რეფორმა, განსაკუთრებით სასამართლოს დაწესებულებაში, წაართვა ოსმალებს რამდენიმე სიმაგრე სისხლის დაუღვრელად, მოაწყო ეროვნული ჯარი და სერბიის ისტორიაც მადლობით ჩასწერს თავის ფურცლებზე ამ მეფის ასეთ დამსახურებას. მაგრამ მეფე მიხეილიც კი თვითნება იყო ნამდვილი ობრენოვიჩსავით.

მიხეილი მოჰკლეს და თუ ობრენოვიჩების დინასტიას შერჩა სერბიის ტახტი, იოანე რისტიჩის საქმე იყო—რისტიჩმა დაახვრეტინა შეთქმულები... როცა 1893 წლის პირველ აპრილს ახალგაზრდა ალექსანდრემ რევოლიუცია მოახდინა, რისტიჩმა სიმწარით სთქვა—„1868-ში ობრენოვიჩების დინასტია დავიხსენი და დღეს კი ერთი მათგანი ასეთ მადლობას მეუბნება!“

მსოფლიო ისტორიაში არ არის იმის მაგალითი, რომ მეფეებს იმდენი ბოროტება

ფელეტონი

სამეცნიერო ქრონიკა

I

უმავთულო ტელეგრაფის გამომგონი მარკონი და იმის დიდების მოდავენი.—პიგმენტები და მეცნიერ ბოონის აზრი.—„საარტილერიო თეორია“ პირნახულის დასაცველად.—კოლლარგოლი და მნიშვნელობა მისი პრაქტიკულად.

„ცნობის ფურცლის“ მკითხველებს, ეჭვი არ არის, ეცოდინებათ, რომ უმავთულო ტელეგრაფის გამომგონი მარკონია. ეცოდინებათ აგრეთვე ისიც, რომ მარკონი იტალიელია. მადლიერმა სამშობლომ თავის დიდებულ შვილს სამაგალითო ჯილდო უძღვნა: რომის მოქალაქეობა უბოძა. მარკონიც ბედნიერად ჰგრძნობს თავს, რადგან თამამად შეუძლიან სთქვას, რომ civis romanus sum.

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, კაცის ბედი ცვალებადია. მარკონის დიდების ცაზედაც შავი ღრუბლები გამოჩნდნენ. გამოვიდნენ მოცილენი, რომელთაც ახალგაზდა მეცნიერს ქურდობა შესწამეს. ვამბობ ქურდობა, რადგან ქურდობა და პლაგიატორობა ერთი და იგივეა. მართლაც, ინგლისელი ფიზიკოსი ოლივერ ლოჯი (Oliver lodge) მხნედ უცხადებს ქვეყანას, რომ უმავთულო ტელეგრაფი მე გამოვიგონეო. მაშასადამე, ის დიდებაც, რომელიც მარკონიმ უკვე იგემა, მე, ოლივერ ლოჯის, მეკუთვნისო. ხმა დადის, ლოჯიმ უჩივლა მარკონისაო. საპატენტო კანონის დარღვევას სწამებს. თუ თვით ლოჯის დაუჯერებთ, დიდი ხანია აღმოუჩენია უმავთულო ტელეგრაფი და ტელეფონი, მაგრამ არ უნდოდა თურმე გამოქვეყნება იმ დრომდე, ვიდრე საუკეთესოდ არ შეიმუშავებდა და შეაკეთებდა თავისს მანქანას. მოსტყუვდა საწყალი ლოჯი, დაავიწყდა, რომ „ეს სოფელი ცრუ არის“. სანამ ის წვალობდა თავისს მანქანის გასაუმჯობესებლად, მარკონიმ არჩია პროექტის გამოქვეყნება გაუმჯობესებამდე. ასეც მოიქცა და მალეც დიდება მოიხვეჭა. ეხლა ლოჯიმ ბევრიც რომ იდავოს, არაფერი გამოვა—მარკონის სახელი სამუდმოდ ჩაიწერა მეცნიერების ისტორიაში.

ეს ასეა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამერიკის მთავრობისათვის ლოჯის მარკონიზე უმალ შეუტყობინებია, რომ უმავთულო ტელეგრაფი გამოვიგონეო, ასე რომ ამერიკაში, კანონის ძალით, ლოჯი უნდა იქმნას ცნობილი დიდებულ აღმოჩენის ავტორად.

ხომ მოგეხსენებათ, გაშლილ სუფრაზე მოკალათება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე თვით სუფრის გაშლა. ეხლა, როცა გამოგონილია, დაინახეს ინჟინერებმა, მეხანიკოსებმა და ფიზიკოსებმა, რომ იმისი გაკეთება „ძნელი“ არა ყოფილა, რადგან მართალი თუ გინდათ, ცალკე ნაწილები ამ უმავთულო სატელეგრაფო მანქანისა უკვე არსებობდა. აი, ამის საბუთიც. იტალიელ მარკონის შვეიცარიელი მეცნიერი ტომასინაც გამოედავა. ჩვენის აზრით, ამ უკანასკნელს ნებაც აქვს, აგრე მოიქცეს. ტომასინა არ ამბობს, რომ მთელი მანქანა მე გამოვიგონეო. ის ცოტათი კმაყოფილდება. აცხადებს, რომ „მიმღები“ (receveur) და „მომგროვებელი“ (coloreur), რომლითაც მარკონიმ ისარგებლა გამოცდის დროს 11 დეკემბერს 1901 წ. და რომლის მეოხებითაც მიიღო სატელეგრაფო ნიშნები ევროპიდან ამერიკაში, მე მეკუთვნისო. მართლაც და ტომასინას პროექტი „მიმღების“ და „მომგროვებელის“ შესახებ წარუდგენია ჟენევის ინსტიტუტისათვის 1 მაისს 1899 წ. ამას ამტკიცებს ოქმები ინსტიტუტის სხდომებისა. აქედან ცხადია, რომ ტომასინა მართალს ამბობს. საწყალი ტომასინა! მარკონის ქვეყანა ადიდებს ტომასინა კი არავის აგონდება. ასეთია ზოგიერთის ბედი.

გავიხსენოთ ისტორია დარვინიზმისა. ყველამ იცის, დარვინმა და დარვინისტებმა როგორ მიითვისეს ის, რაც ბიუფონს, სენტ-ილერს და ლამარკს ეკუთვნოდა. დარვინიზმში მხოლოდ შერჩევის კანონი ეკუთვნოდა დარვინს. წრის გავლენის თეორია კი, ეჭვს გარეშე, ლამარკისა იყო. დღეს, როცა ისტორიამ აღადგინა ჭეშმარიტება, ეს ცხადია.

ან კიდევ გავიხსენოთ ისტორია იმ დიდებულ პრინციპისა, რომელსაც „ძალის დაუშრეტელობას“ (conservation de la force) ეძახიან. დღემდი ამ პრინციპის აღმოჩენას ვიურტენბერგის პატარა ქალაქის ექიმს რობერტ მაიერს აკუთვნებდნენ. დღეს კი ინგლისის გამოჩენილი ფიზიკოსი ტე (P. G. Tait) ამტკიცებს და ჩვენის აზრით, მართალიც არის, რომ ეს პრინციპი მოქცეულია ნიუტონის მიერ აღმოჩენილ პრინციპებში და, მაშასადამე, ამ პრინციპის აღმომჩენლადაც ნიუტონი უნდა ჩაითვალოს. საკვირველია, წეწვა და გლეჯა ზოგიერთ მეცნიერებისა. მართალი ის არის, ვინც ამბობს: სამეცნიერო აღმოჩენა არავის არ ეკუთვნის პირადად, რადგან იმისთვის ერთი კაცის კი

ჩაედინოსთ, რამდენიც მილანსა და ალექსანდრეს.

მართალია, მილანი ნიჭიერი მეფე იყო, მაგრამ მეტად თავქარიანი იყო: მისი დაუდევარობა, ოჯახური განხეთქილება და სკანდალები, მფლანგაობა და სხვა ნაკლი იყო მიზეზი, რომ სერბიის პრესტიჟი ასე დაეცა.

ალექსანდრეს მეფობას არ გაუუმჯობესებია სერბიის მდგომარეობა. როცა მეფემ დრაგა შეირთო ცოლად, დატანჯული ერი სერბიისა ცოტათი დამშვიდდა იმ იმედით, რომ ეგონათ მილანს მაინც თავიდან მოიშორებდნენ. მართალია, გულში ხალხი აღშფოთებული იყო მეფის დაქორწილებით ასეთ ქალზე, მაგრამ იგი არ ელოდა, რომ სწორედ დრაგას ზედ-გავლენით ახალგაზდა მეფე მტარვალად გახდებოდა.

დედოფალი ისე დაბრმავდა, რომ ყველა აფიცრებისაგან თხოულობდა ისეთის პატივით მოპყრობოდნენ მის ძმას, როგორც ტახტის მემკვიდრეს შეჰფერის. მხცოვანი მხედრებიც კი, რომელთაც ომის ველზე სისხლი უღვრიათ, იძულებული იყვნენ თავი მოეხარათ ვიღაც უნიჭო აფიცრის წინ. ბოლოს, კატასტროფის წინა დღით დედოფალმა სცადა ფორმალურად გამოეცხადებინა თავისი ძმა ტახტის მემკვიდრედ. მოთმინების ფიალა აივსო და სერბიის აფიცრობამ ღრმად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

დედოფლის მოქმედებას ზედ დაერთო ცინცარ-მარკოვიჩის მოქმედებაც. რაც მეფე ალექსანდრემ და ცინცარ-მარკოვიჩმა ჩაიდინეს, კონსტიტუციის შებღალვა იყო და საარჩევანო სისტემის შეცვლა კი—დაცინვა არჩევნებისა. რაღაც უმაგალითო რამ მოხდა: სკუპშჩინაში არჩეული დეპუტატები, ყველა მთავრობის დანიშნული, ყოვლად უმნიშვნელო კანდიდატები იყვნენ. დამოუკიდებელ რადიკალებმა სრულებით არ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში; არც ერთი დამსახურებული ლიბერალი არ მოხვდა ახალ სკუპშჩინაში.

მდგომარეობა არა თუ მტკიცე არ იყო, არამედ მეტად საეჭვო და საშიში. არავინ არ იცოდა, რითი დაბოლოვდებოდა მეფე ალექსანდრესა და ცინცარ-მარკოვიჩის კაბინეთის თვითნებობა და მერე ისეთ დროს, როცა ბალკანეთის ამბები თხოულობდა, რომ სერბიას ერთსულ ემოქმედნა თავის ინტერესების დასაცველად.

აი, მოკლედ ის პირობები, რომელშიაც სერბიის ერმა მიჰმართა თავის დაცვის საქმეს“.

◆ თუ გაზეთებს დავუჯერებთ, სერბიის ეხლანდელ მთავრობას უკვე შეუდგენია სია იმ აფიცრებისა, რომელთაც პირდაპირი მონაწილეობა მიუღიათ მეფე-დედოფლისა და კარის-კაცების მკვლელობაში. ყველას სამსახურიდან გადააყენებენ.

◆ ახალი მეფე სერბიისა პეტრე პირველი ჩავა თუ არა ბელგრადში, მაშინვე დაითხოვს სკუპშჩინას და დანიშნავს ახალ არჩევნებს 1888 წლის კონსტიტუციის ძალით. როგორც ამბობენ, არჩევნების დასრულებამდე ეხლანდელი სამინისტრო დარჩება.

◆ რუსეთის ელჩს ჩარიკოვს განუახლებია დიპლომატიური დამოკიდებულება სერბიის მთავრობასთან, რადგან რუსეთის მთავრობამ იცნო სერბიის ეხლანდელი წესი.

ახალი ამბავი

◆ პირველ ივლისიდან **ბათუმისა, ართვინისა და სოხუმის ოლქები** ქუთაისის გუბერნიას ჩამოეცლება. პირველ ორს შეაერთებენ და შეადგენენ ერთ ოლქს, რომელსაც ეყოლება ცალკე გუბერნატორი, ერთის სიტყვით, სრულიად დამოუკიდებელი იქმნება. რაც შეეხება სოხუმის ოლქს, იგი პირდაპირ კავკასიის მთავარ-მართებელს დაემორჩილება. ბათუმში საქალაქო საკრებულო იქმნება. ამ საკრებულომ უნდა დაამტკიცოს ქალაქის ყველა საქმეები და არჩევნები, გარდა ბათუმის ქალაქის მოურავისა, რომელიც მთავარ-მართებელმა უნდა დაამტკიცოს.

◆ გუშინ, 12 ივნისს, **კოჯორში წავიდა საზაფხულოდ** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე.

◆ გუშინ, 12 ივნისს, დასრულდა საქალაქო სასწავლებლების **მასწავლებელთა კრება**. გადაიხადეს პარაკლისი, რომელსაც დაესწრო სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და სხვანი. სამოსწავლო ინსტიტუტის დირექტორმა სტრელეცკიმ მიჰმართა მასწავლებელთ სიტყვით. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა ბაქოს საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა გრიგორაშვილმა. ბ-ნ გრიგორაშვილის სიტყვას მასწავლებლები ტაშის ცემით მიეგებნენ.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის გამოანგარიშებით წელს **ტფილისს უნდა შემოუვიდეს 1,423,600 მან. ხარჯი** იქნება 1,387,296 მან.

◆ ტფილისში ამბავი მოვიდა ვენიდან, რომ არტისტი **ალექსი-მესხიშვილი** უკეთ არისო. პროფესორს ხიარს ამოუცლია სულ 126 ხორც-მეტი. ხმა უკეთდება თურმე ავადმყოფს. ამ ჟამად კარგად ჰგრძნობს თავს მესხიშვილი. პროფესორი შესდგომია ეხლა ავადმყოფის ნერვების ექიმობას.

ტფილისის საბჭოს დადგენილების თანახმად, გუშინ, 12 ივნისს, ქალაქის მოურავის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, გამგეობის წევრებს თავ. ნ. ვ. ჩერქეზიშვილისა და კოკჩაევისა და ხმოსნების ოსტროგორსკისა, თავ. ა. ბებუთოვისა და ა. ს. ბაბოვისაგან შემდგარმა დეპუტაციამ ქალაქის თვით-მმართველობის სახელით **მადლობა გამოუცხადა** ტფილისის მოქალაქეს არამიანცს, რომელმაც 100,000 მან. შესწირა სამკურნალოს დასაარსებლად.

◆ ტფილისში ჰფიქრობენ გამართონ **ცხენების სავაჭრო** განსაკუთრებული ბაზარი. ქალაქის გამგეობამ პროექტის შედგენა მიანდო ბეითალს მელქუმოვს. როგორც შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, ქალაქს კარგი შემოსავალი ექმნება ამ ბაზრიდან.

◆ **ცხენის რკინის გზის** მეთვალყურე კომისიამ განიხილა ცნობები ავჭალის ქუჩის რკინის გზის შესახებ. ამ ქუჩაში დადის სულ 7 ვაგონი. კომისიამ თავის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს მიანდო გამოიკვლიოს, საკმაო თუ არა ეს რიცხვი ვაგონებისა. შემდეგ კომისიამ განიხილა ა. ბ. ევანგულოვის საჩივარი, რომ უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზის ვაგონები ნელა დადიან. რკინის გზის მოხელეებმა აცნობეს კომისიას, რომ ვაგონების დაგვიანების მიზეზი სამგლოვიარო პროცესიებიაო. კომისია არ დაჰკმაყოფილდა ამას და დაადგინა 70 მანეთით დააჯარიმოს უსახელო საზოგადოება. განიხილა სხვა საჩივრებიც საზოგადოებაზე და დააჯარიმა 55 მანეთით.

◆ ტფილისის **სასწავლებელთა გამგე-კომისიის** ახლად დამტკიცებულ წევრებს პირველი კრება ჰქონდათ 11 ივნისს. კომისიამ პირველად მოისმინა ქალაქის გამგეობის დადგენილება. ამ დადგენილებით, გამგეობას საკმაოდ მიაჩნია ეხლანდელი რიცხვი კომისიის წევრთა, რომელნიც დაამტკიცა ტფილისის გუბერნატორმა. კომისიამ განიხილა მოხსენება მომავალ წლისთვის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის შესახებ. კომისიამ ხარჯთ-აღრიცხვის შესამუშავებლად ამოირჩია მცირე კომისია. კომისიაში არიან: ხმ. ა. ს. ბაბოვი, მელიქ-ბეგლიაროვი და ანდრეევი. ვიდრე საბჭო კომისიის თავმჯდომარეს აარჩევს, ამ თანამდებობას შეასრულებს ბ-ნი შესტაკოვი.

◆ ტფილისის არც ერთ გიმნაზიაში იმდენი მოსწავლე არ არის, რამდენიც **ქალთა პირველ გიმნაზიაშია**. მოსწავლეთა სიმრავლის გამო პირველ ოთხ კლასში არსებობს სამ-სამი პარალელური განყოფილება. ეხლა დანარჩენ კლასებშიაც ჰფიქრობენ მესამე პარალელურ განყოფილებების გახსნას. ამ რიგად ეს გიმნაზია ერთის ნაცვლად მთელ სამს გიმნაზიას შეიცავს.

◆ 10 ივნისს, პროფ. ნ. ი. მარრის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა აქაურ **ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს**. დაესწრო 15 კაცამდე. კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ტფილისში კომიტეტი საისტორიო და საარქეოლოგო ცნობების შესაკრებად და გამოსაცემად. კომიტეტის თავმჯდომარედ ბ-ნი მარრი იქმნება; თავმჯდომარის ამხანაგად: ქართულ სექციაში ე. თაყაიშვილი, სომხურში ა. ქალანთარი. სექციის მიერ შეკრებილი ცნობები ცალ-ცალკე უნდა გამოიცეს. ბოლოს საარქეოლოგო კომისია შეკრებილ ცნობას ორ წიგნად გამოსცემს: ერთი „ქართულ წარწერათა კრებული“ იქმნება, მეორე—„სომხურ წარწერათა კრებული“.

◆ დღეს, დილით, **ქართველ არტისტთა დასი**, ბ. ვ. ა. აბაშიძის მეთაურობით, წარმოდგენების გასამართავად მიდის [illegible] სხვა და სხვა ქალაქში. დასი შაბათსა და კვირას წარმოდგენას გამართავს ჭიათურაში; მერე იქიდან საჩხერეში ავლენ.

◆ ბ-ნი **ალექსანდრე ხახანაშვილი** გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „მივმართავ ქართველ მწერლებს და ვთხოვ, გამომიგზავნონ ბიოგრაფიული ცნობები თავიანთ შესახებ. ადრესი: ლაზარევის ინსტიტუტი“.

◆ რუსეთის საგეოგრაფო საზოგადოება ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით **თუშ-ფშავ-ხევსურეთში** ჰგზავნის თავის წევრს ბ-ნ ბუშს.

◆ გუშინ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას უშუამდგომლოს მოსკოვის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთ, მოსკოვში ყოფნის დროს, ბინის გარდა სხვა გვარადაც გაუწიოს დახმარება ამ გამგეობამ.

◆ წელს **მოსკოვის უნივერსიტეტის** იურიდიული ფაკულტეტი გაათავა ორმა ქართველმა: მაჭავარიანმა, და კანდელაკმა, ხოლო სამათემატიკო ფაკულტეტი ერთმა—ბახტაძემ.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თავ. ტრუბეცკოი**. როგორც „ნოვ. ობ.“ გადმოგვცემს, თავ. ტრუბეცკოის აზრადა აქვს შეიძინოს კავკასიაში 25 ათასი დესეტინა მიწა საძოვრად კარგის ჯიშის ცხვრისათვის.

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას** უკვე დაუწყეს მოვალეებმა ფულის თხოვნა. დღემდე ნათხოვნ ფულის რაოდენობა აღემატება იმას, რაც სამინისტროსაგან მიიღო, ე. ი. 24 ათას მანეთს.

◆ **ტფილისელი მხატვრები** ივლისის პირველიდან შუშაში ჰმართავენ სურათების გამოფენას.

◆ ტფილისის **ქალთა მეორე გიმნაზიის** საპედაგოგიო კლასში სწავლა დაასრულა 38 ქალმა. 20 რუსია, 11 სომეხი, 2 გერმანელი, ერთი ებრაელი და 4 ქართველი: ნაკაშიძე ნინო, ყაზახიშვილი თამარ, ფურცელაძე ივლიტე და ივანაშვილი ელენე.

◆ **სამტრედიიდან** გვატყობინებენ: „აბრეშუმის პარკის ფასები ძალიან დაეცა ამ ორ უკანასკნელ დღეში. ამ ჟამად ფასი 15 მ. და 50 კ. ჩამოვიდა. მიზეზი ის არის, რომ უცხოეთიდან მოვიდა ამბავი, იქაც დაიწია ფასებმაო. ბევრი გამყიდველი ტყუვდება“.

◆ **წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენი საზოგადოება** გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ ტფილისში მტკვარზე ბანაობისათვის შემდეგი ადგილებია უშიშარი.

მარჯვენა ნაპირას: 1. **დიდუბეში ბორანთან 30 ნაბიჯის მანძილზე ზევით და ქვევით, მცურავის მეთვალყურეობით. 2. ვერის ხიდის ზევით, ორ ადგილას, ორ მცურავის მეთვალყურეობით. 3. იმავე ხიდის ქვევით, მცურავი ნავით მეთვა-**

არა, მთელის კაცობრიობის რამდენისამე საუკუნის ჯაფა და შრომაა დახარჯული; მაშასადამე, აღმოჩენაც მთელს კაცობრიობას ეკუთვნის და არა პეტრეს ან პავლეს.

⁂

ზაფხული მეფდება, ჭრელდება ეხლა. ბუნება იმოსება ათასნაირ სამოსით. რა ფერი გინდათ, რომ იქ არ იყოს. მთელი ორგანიული ქვეყანა აჭრელებულია. როგორ ჩნდება ეს სხვა-და-სხვა ფერი? აი, კითხვა, რომელიც უნებლიეთ მოსდის თავში ყველა ჩვენგანს. განსაკუთრებით რაზეა დამოკიდებული ორგანიულ არსებათა ფერების სხვა-და-სხვაობა? ფერთა მომდინარეობა, საზოგადოდ, ორ გვარია: ზოგი არის მარტო ფიზიკურ ძალთა შედეგის მაგ. სინათლე. ზოგ ფერს-კი ბიოლოგიური მომდინარეობა აქვს, ე. ი. დამოკიდებულია პიგმენტების არსებობაზე. მალოპიგის შრეს ქვეშ იმყოფება სხვა და სხვა ფერის სითხით სავსე უჯრედები. იმისდა მიხედვით, თუ როგორის ფერისაა ეს სითხე, კანიც იმ ფერს იღებს. ამ ბოლო დროს ერთი მეცნიერი (Bohn. Evolution du pigment) შეეცადა შეენიშნა ფაზისები პიგმენტთა ევოლიუციისა.

ეს მეცნიერი უწოდებს ლიპოქრომებს (lipochromus) ისეთ პიგმენტებს, რომელთა შემადგენელი ნაწილები—მხოლოდ სამის ელემენტისაგან შესდგება: წყალბადისა, მჟავბადისა და ნახშირბადისაგან. ამ კატეგორიას ეკუთვნის, მაგალითად, კვერცხის ცილაში გარეული საღებავი, სტაფილოში გარეული საღებავი და სხვა. დღეს შესაძლებელია ორსავე ამ საღებავის მომზადება.

მეორე კატეგორია შესდგება ისეთ პიგმენტებისაგან, რომელთა შემადგენელ ნაწილთა შორის აზოტიც არის; ის პიგმენტები, რომელიც სისხლსა ჰღებავს, ამ კატეგორიას ეკუთვნის.

სხვა პიგმენტები უახლოვდებიან ანილინს ან იმისგან შემდგარ ფერებს, რომელიც კარგად ცნობილია ინდუსტრიაში. როგორც ანილისნის ფერები, ისე იმის ქიმიურად მსგავსი პიგმენტები ადვილად იცვლიან ფერს შეუმჩნეველ მოლეკულიარულ მოდიფიკაციის გავლენით.

იქ, სადაც ცდითი მეთოდი ვერ იჩენს თავის ძალას, ჰიპოტეზები მეფობს. პიგმენტების გაჩენისა, იმათ განვითარების ახსნა-განმარტება ექსპერიმენტალურად ძნელი რამ არის, ახსნა აუცილებლად საჭიროა. მაშ როგორ მოვიქცეთ? სხვა გზა არ არის, ჰიპოტეზებს უნდა მივმართოთ. საუკეთესო ჰიპოტეზა ის არის, რომელიც უფრო ბევრ, კარგად შერჩეულ, ფაქტებზეა დამყარებული. სწორედ ამისათვის მეცნიერები დიდის სიხარულით მიეგებნენ ბოონის ცდას. ეს მეცნიერი ჰფიქრობს, რომ ყოველი მარცვალი პიგმენტისა წარმოადგენს ინდივიდს ბიოლოგიურად, რადგან ყოველ მათგანს საკუთარი პირადობა და სიცოცხლე აქვთ. ბოონის აზრით, პიგმენტი პატარა პლასტიდია, რომელიც განვითარებით უჯრედებზე უფრო დაბლა სდგას.

ასეთია ჰიპოტეზა. ამას გარდა როგორიც უნდა იყოს ქიმიური შემადგენლობა პიგმენტისა, საზოგადო ხასიათი იმათი ის არის. რომ განუწყვეტელ მოძრაობაში არიან. მარცვალი პიგმენტისა სფერიული ან მოგრძოა. ზოგი იმ აზრისაა, რომ ეს მოძრაობა უბრალო ფიზიკური მოძრაობაა, ზოგი კი იმაში ჰხედავს ბიოლოგიურ ძალას. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი აზრი უფრო დაახლოვებულია ჭეშმარიტებასთან, რადგან თუ ამ პიგმენტებზე რომელსამე მაგარ საწამლავს ვიხმართ, ეს მოძრაობა ჰქრება; უბრალო ფიზიკური მოძრაობა რომ იყოს, საწამლავი ვერას დააკლებდა.

პიგმენტებზე, საზოგადოდ, სინათლე მოქმედებს შესანიშნავად. ყველამ უწყის, მაგალითად, რომ ზოგიერთ თევზს (განსაკუთრებით ბრტყელ თევზს) ის მხარე ეღებება, რომელსაც მზის სხივები ჰხვდება. ასევეა ზოგიერთი ცხოველნიც, რომელნიც ჯურღმულში სცხოვრობენ. ამათ არავითარი ფერი არა აქვთ. ამა თუ იმ ფერისა ხდებიან მაშინ, როცა მზის სხივებით სავსე მიდამოში იწყებენ ცხოვრებას. დაუმატოთ ამას ისიც, რაც, ეჭვი არ არის, ყველა ჩვენგანს შეუნიშნავს: ბნელში გაზდილ მცენარეს ის ფერი არა აქვს, როგორიცა აქვს ნათელში გაზრდილს; ბნელში მყოფ მცენარეს ქლოროფილი აკლია ან სულ არა აქვს.

გამოკვლევები პიგმენტებისა და სტატისტიკა ფერის სხვა-და-სხვაობისა ადამიანთა შორის ამტკიცებს, რომ, საზოგადოდ, შავგვრემანთა რიცხვი მატულობს და ქერათა რიცხვი კლებულობს ევროპაში. ასეა საქმე. ზანგები მუდამ ზანგებათ დარჩებიან, ჩვენ კი ოდესმე ზორბად გავშავგვრემანდებით. ამ ფაქტს, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, ამბობს იუნგი (პროფესორი ზოოლოგიისა ჟენევის უნივერსიტეტში), რომ ქერა თმის ფასი თან-და-თან მატულობსო. ყველგან, სადაც შავგვრემანები და ქერები არიან, შავგვრემანთა რიცხვი მატულობს, ქერათა რიცხვი კი კლებულობს. რა არის მიზეზი ამ მოვლენისა? ამაზე გადაჭრით პასუხის მიცემა შეუძლებელია დღეს. ზოგი ამტკიცებს, რომ შავ პიგმენტების პროგრესი გამოწვეულია იმით, რომ დღეს სანიტარული და სოციალური პირობები გაუმჯობესდა წარსულთან შედარებით. მართლაც, შესაძლებელია ასეც იყოს: ცხოველთა შორის პიგმენტთა სიმრავლე სწორედ რომ დამამტკიცებელია იმათ ჯანსაღობისა. მაგრამ აქ აჩქარებაც შეუძლებელია. გადაჭრით პასუხის მიცემა ამ კითხვაზე შესაძლებელი იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ეს ახსნა დაემყარება მრავალ კარგად არჩეულ ფაქტებზე. მოვითმინოთ.

დუღრუთობს. 4. ძველ სახაზინო თეატრთან, „უგოდოვზნი" ქუჩის ჩასავალში, აქაც მცურავია დაყენებული. 5. პაპკოვის წისქვილსა და მეთევზე ივანე კოტოევის ბუტკის შუა, აქაც მეთევზე კოტოევი საზოგადო ნავით სდარაჯობს. 6. „არბუზნი" მოედანთან, რიყეზე, მეთევზე მაჰმუდ-ფეიზულა-ოღლი სათევზაო ნავით არის დაყენებული. 7. ქვეითა მოსიარულეთად ხიდთან, ორთაჭალის ბაღებში; მეთევზე აგაჯა აიგაზოვი სათევზაო ნავით არის დაყენებული.

მარცხენა ნაპირას. 8. დიდუბეში, ქუთაისის ქუჩიდან მდინარესკენ ჩასავალში (სანამ წყალი მდინარეს მიეცემა), გარდა ამისა მარცხენა ნაპირასვე ამ ქუჩის პირდაპირ; აქ თვალ-ყურს ადევნებს ანდრია სიმადურთოვი, რომელსაც მგზავრები გადაჰყავს ნავით. 9. რკინის გზის წყლის საქაჩავთან 50 ნაბიჯზე ზევით და ქვევით—მცურავია დაყენებული. 10. ახალ ქუჩის ჩასავალთან, რომელიც ობსერვატორიისა და ინჟინერთა მოედანს შუა—აქაც მცურავია დაყენებული. 11. ტეხნიკურ ქუჩის ჩასავალთან—მცურავია დაყენებული. 12. „ვერეშჩაგინი" ვიწრო ქუჩის ჩასავალთან—აქაც მცურავია. 13. ნიკოლოზის ხიდსა და პირველ წისქვილ შუა; წისქვილ ზევით მცურავია. 14. ნიკოლოზის ხიდ ქვევით მადათოვის კუნძულის მარცხენა ნაპირს—აქაც მცურავია; 15. ვორონცოვის სახლსა და იქ, სადაც ხალხი გადაჰყავთ, იმ ადგილ შუა—სადგურის პატრონნი ივანე დოსკუტოვი და ივანე პოროდინი სდარაჯობენ საზოგადოების ნავით. 16. გოგილოს აბანოს ჩასავალთან, ურჩევენ ცურაობას უფრო დახელოვნებულ მოცურავეთ, თუმცა აქაც მცურავია დაყენებული. 17. უმიაგრეს ჩასავალთან ნავთლუხიდან მდინარისკენ—აქაც მცურავია.

საბანაო ადგილებში ამართულია საზოგადოების ბაირაღები.

დანარჩენი ადგილები საშიშოდ არის ცნობილი.

◆ რადგან ტფილისის მცხოვრებთა დიდი ნაწილი დროზედ არ იხდის გადასახადს მილის წყლის სარგებლობისათვის, ამიტომ, ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ამ დღეებში შეუდგებიან ასეთ მცხოვრებთა სახლების ეზოებში ონკანების დაკეტვას.

◆ ცუდის ამინდებისა გამო კუკიისა და ავლაბრის სათიბებში წელს ძალიან ცოტა ბალახი მოვა, ასე რომ ქალაქს წელს 6000 მანეთით ნაკლები შემოუვა, ვიდრე მოელოდა; თუმცა ეს შემოსავალი ადემატება იმას, რასაც აქამდე მოიჯარადრეებისაგან იღებდა.

◆ გორიდან გვატყობინებენ: 11 ივნისს, მატარებელში №-5, მესამე კლასის ვაგონში, უეცრად გარდაიცვალა ერთი მგზავრი, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები მატრონა კარაგიშვილი. გვამი ჟანდარმებს გადაეცა.

◆ ტფილისის ფერშლის სკოლა წელს 9 მოსწავლემ დაასრულა. მათ შორის სამი რუსია, ორი სომეხი, ერთი ლეკი და სამი შემდეგი ქართველი: გარაზაშვილი, დალაქიშვილი და შარაშენიძე.

◆ გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ბორჩალოს მაზრის მცხოვრების არტუშ ქალანთაროვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ქურდობა და კაცის მოკვლა. ქალანთაროვს თავის დანაშაულობის დასაფარავად მოკლულ კაცის გვამი მიუთრევია სანეხვლეთზე, ჩაუფლავს და შემდეგ თორნეში ჩაუგდია და დაუწვავს. ოლქის სასამართლომ ქალანთაროვი დამნაშავედ იცნო ამ ბრალდებაში და გადაუწყვიტა ყოვლისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორღაში 20 წლით გაგზავნა. პალატამ საქმე სხვა დროისათვის გადასდო.

◆ აჯამეთი: 11 მაისს, დილის $8^1/_2$ საათზე, მატარებელი №-151 ლიანდაგს გადასცდა. დამსხვრა ნავთის 14 ქვაბი და ნამსხვრევებმა გზა შეკრა. დაშავდა ერთი კონდუქტორი იოსებ ცირცუმია. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ რადგან ტფილისში გადამდები სენი მოისპო, სასანიტარო-სამკურნალო საბჭო შუამდგომლობს, ნება მიეცეს ავადმყოფნი მიიღონ ბავშვთა საერთო საავადმყოფოში.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში: „ყაზბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ 16 მარტს „სობრანიეში" გამართულ საღამოდან შემოვიდა: გაყიდულ ბილეთებისა 520 მან. 90 კაპ., პრემია—71 მ. 20 კ., სულ 592 მ. 10 კაპ. დაიხარჯა: დარბაზის ქირა—100 მ., მარკები—23 მ., როიალის გადატანა და აკომპანიმენტი—13 მან. 50 კ., პარიკ-მახერსა და როლების გადამწერს—5 მ., ბილეთებისა და აფიშების დაბეჭდვა და გაკვრა 8 მ., მოსამსახურეებს და წვრილმანი ხარჯი—7 მან. 80 კ., სულ დაიხარჯა—157 მ. 30 კ. დარჩა წმინდა—434 მან. 80 კაპ.

გამგეობა ყაზბეგის ქალთა სკოლისა დიდს მადლობას უცხადებს ქ-ნთ: ე. ა. ხატისოვისას, ციხოვცოვისას, ს. ისაკოვისას, ნ. ნაკაშიძისას, ა. რომანიშვილისას და ს. ციციშვილს. ბ-ნთ: ვეიმანს, ა. დ. ყიფიანს, ალ. ი. ყანჩელს. ი. ა. ბარათაშვილს, ი. დ. ქუთათელაძეს და ყველა იმათ, ვინც დაეხმარნენ წარმოდგენისა და კონცერტის გამართვაში. აგრეთვე მადლობას უცხადებთ ქნ. ანნა იგ. ბარათაშვილისას, ქნ. ნ. გ. ქობულოვისას, ქნ. ი. კ. თუმანიშვილისას, მ. გ. ზუბალაშვილს, ეკ. ი. სარაჯიშვილისას, ი. და მ. ბარ. ბარათაშვილებს, ქნ. ხ. ვ. ამირეჯიბისას და გ. დ. სტაროსელსკის. მადლობას უცხადებთ აგრეთვე მუსიკის უსასყიდლოდ დათმობისათვის ქნ. ი. დ. რატიშვილს, ქართულ გაზეთებს და რუსულს „ნოვ. ობოზრენიე"-ს განცხადების უფასოდ დაბეჭდვისათვის, „გუტენბერგის" სტამბას—აფიშების უფასოდ დაბეჭდვისათვის და ყველა იმათ, რომელნიც დაგვეხმარნენ და თავიანთი შემოწირულებით შემწეობა აღმოგვიჩინეს."

◆ ამას წინად ტფილისის მცხოვრებს ქ-ნ ბ.—ს დაუკარგავს 15 წლის ქალი. როგორც დედას განუცხადებია, ქალს კარგად იცნობდა სპარსეთის ელჩის შვილი. ამას წინად ეს სპარსელი დაჰხვედრია სახლიდან გამოსულ ქალს, ჩაუსვამს ეტლში და ქალაქს გარედ წასულა. პოლიციისათვის უცნობებიათ. მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილ კაცებს გაქცეულნი სოღანლუღში დაუჭერიათ, საიდანაც უკან დაუბრუნებიათ. გამოძიებას შეუდგნენ.

◆ სოლოლაკის ქუჩაზე ვაჭრის დოროჟნოვის მაღაზიიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ საქონელი. ამ ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ მაღაზიის მოსამსახურედ ნამყოფ ივანე კოსოვზე. წასულან იმის ბინაზე გასაჩხრეკად და აღმოუჩენიათ, რომ სხვა-და სხვა დროს 500 მან. ჩითეულობა და სხვა საქონელი მოუპარავს. დამნაშავე, რომელიც უკვე გამოტყდა, დააპატიმრეს.

◆ შეითან ბაზარში, 10 ივნისს, სერგო პავლოვის ეტლმა № 310 გადაუარა 9 წლის ყმაწვილს ტფილისის მცხოვრებს ალექსანდრე არტემოვს და დააშავა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ სახელმწიფო საბჭომ ახალ საბეითალო კანონის განხილვის დროს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად საპოლიციო ზედამხედველობა დაწესებულია მხოლოდ მსხვილ-ფეხა საქონელზე და ცხენებზე კი არა, თუმცა ცხენების წყალობითაც ძალიან ვრცელდება სხვა-და-სხვა სენი. ამიტომ სახელმწიფო საბჭომ მიანდო შინაგან საქმეთა მინისტრს, შეიმუშავოს შესაფერი ზომები და ამასთან სახელმწიფოს სასარგებლოდ განსაკუთრებული გადასახადიც გააწეროს ეგრედ წოდებულ „სავაჭრო ცხენებს".

◆ პოლტავის გუბერნიიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს. ვედ."-ს: „ჩვენს გუბერნიაში ურიადნიკებისა და სტრაჟნიკების თანამდებობათა დაწესებას აპირებენ. სულ გუბერნიაში დანიშნავენ 1,280 ურიადნიკსა და სტრაჟნიკს".

◆ როგორც „კურ."-ი გადმოგვცემს, მოსკოვის მაზრის სოფელ ლიგაჩევის მცხოვრებნი ეს რამდენი ხანია სცდილობენ დახურონ ხაზინის მიერ დაარსებული მაგარ სასმელების დუქანი, მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ. რადგან შუამდგომლობამ არ გასჭრა, სოფელმა გადასწყვიტა დუქნისთვის ხაზინას აღარ მისცეს არც სახლი და არც მიწა. ამ სოფელში მემამულეა, მაგრამ ისიც წინააღმდეგია ადგილისა ან შენობის მიქირავებაზე.

◆ ამას წინად გარდაიცვალა რომის კათოლიკეთა მიტროპოლიტი რუსეთში კლოპოტოვსკი. როგორც ამბობენ, მიტროპოლიტად ჰნიშნავენ პლოცკის ეპისკოპოსს გრაფ შემბეკს.

◆ ჩერნიგოვის გუბერნატორს ისპრავნიკებისთვის შემდეგი განკარგულება მოუხდენია: „ეცადეთ ურიადნიკებად ისეთნი დანიშნოთ, რომელთაც მაზრაში არაფერი არა აქვთ, არც სახლი, არც კარი და არც სხვა რამეო.

პრესსა

პეტერბურგელ მღვდელს გრიგოლ პეტროვს ეხლა-ხან დაუბეჭდია წიგნაკი. გაზეთებს საყურადღებო ადგილები მოჰყავთ ამ წიგნაკიდან:

> ევროპისა და ამერიკის ერნი—გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, შვედები, რუსები, იტალიელები, ამერიკელები, ჰოლანდიელები და სხვები, ერთის სიტყვით, ყველანი ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთ კულტურას ჰქმნიან. მაგრამ ეს კულტურა მრავალ-ფეროვანია, რთული შენობაა, რომლისთვისაც მრავალი ნიჭი, ხელი და თვალყურის მგდებელია საჭირო. ამ საქმეს ერთი ერი, რაც უნდა ზეგარდმო ნიჭით იყოს შემოსილი, ვერ გაუძლევება.
>
> როგორც დედამიწის გულში სხვა-და-სხვა დროს გაჩნდა ძვირფასი ქვები და თვით ყველა ამ ქვას თავისი ფასი, ფერი, სიმკვიდრე, სიმძიმე აქვს, ისევ ისტორიულ პირობების წყალობით გაჩნდა სხვა-და-სხვა ერი და თვითეულს თავისი ღირსება აქვს. ერთ დარგში ერთი ერი უპირატესობს, მეორეში—მეორე, მესამეში—მესამე და ამ რიგად ყველანი ჰქმნიან იმ დიდებულ შენობას, რომელსაც კულტურა ჰქვიან. ყოველი ახალი ერი, რომელიც კაცობრიობის საერთო ფერხულში ებმის, ახალი განძია კულტურისათვის. რაც უფრო მეტ თავისებურობას გამოიჩენენ ერნი, მით უფრო ნაყოფიერი იქმნება კულტურა. ამიტომ ის, ვინც კაცობრიობის ამ საერთო ქნარს რომელსამე სიმს აკლებს, სჩაგრავს ერს—სჩადის დიდ ცოდვას, სულიერ მკვლელობას. ხოლო თუ ერი თვით იმოკლებს სიცოცხლეს, სიზარმაცით ჰკარგავს თვითმყოფობას, დამოუკიდებლობას, მაშინ იგი სჩადის უდიდეს დანაშაულს—თავს იკლავს სულიერად.
>
> აშკარაა ამის შემდეგ, რომ ამა თუ იმ ერის გაძლიერება, კულტურულად ამაღლება და განვითარება მთელის კაცობრიობის საქმეა. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ერთა შორის შურსა და მძულვარებას.

არქეოლოგთა საყურადღებოდ

ანანურსა და ფასანაურს შუა, საქართველოს სამხედრო გზის პირას, მდებარეობს სოფელი ჭართალი, სადაც 30 კომლი მთიული სცხოვრობს. ამ სოფლის მახლობლად, სერზე, უწინ მონასტერი ყოფილა აშენებული. ეხლა-კი ნანგრევების მეტი არა მოსჩანს-რა. ადგილობრივი მკვიდრნი, მთიულები, მაინც არ ივიწყებდნენ თურმე ამ ადგილს, მეტადრე ხევის ბერ-დეკანოზები, რომელთაც დაჯერებით სცოდნიათ, რომ იმ მონასტრის დანგრეულ-ზღუდეთა შორის დაფლულია ძვირფასი საეკლესიო ნივთები. ამ ხუთის წლის წინად ადგილობრივ ბოქაულს გ. დ. ჭონქაძეს გაუგია ეს ამბავი, ასულა ჭართალში, დაუბარებია ხევის ბერ-დეკანოზები და იმათის დახმარებით ამოუთხრევინებია მონასტრის ერთი ადგილი, რომელიც დეკანოზებს უჩვენებიათ. მართლაც სალის კლდის ქვის ფილებ-ქვეშ უნახავთ ძვირფასი საეკლესიო ნივთები: ხატები, ჯვრები, ჯამები, საცეცხლური, სააზმე ხუცურის ზედწარწერით.

ეს ნივთები არქეოლოგიისათვის საინტერესო რასმე წარმოადგენს. ნივთები ამ ჟამად ადგილობრივ ეკლესიაში ინახება. ხატები მეტად დიდია ტანით (თითო ადლ-ნახევარი სიგრძე, ადლი სიგანე), დაფუტუროებულ ხეზე წამალი ჯერ კიდევ კარგად შენახულა, ასე რომ ხატის სახე კარგადა სჩანს. ამოდენა ფიცრის ხატები გარედან წმინდა ვერცხლით არის მოჭედილი ხუცურის ზედწარწერით. ჯვრებიც ვერცხლისაა, შიგა-და-შიგ თვლები აქვს დატანებული. თვლები კი ძვირფასი არ უნდა იყოს. ჯვრებსაც ზედ-წარწერა აქვს, მხოლოდ მხედრულად. საცეცხლური, ჯამები, სააზმე—ეს ნივთები სულ ვერცხლისაა და მხედრული წარწერა აქვთ. იმედია, ჩვენი არქეოლო-

---

ეჭვი არ არის, ბიოლოგია ამ საკითხს ოდესმე ნათლად აგვიხსნის.

⁂

ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ზარბაზნებით ბრძოლაზე სეტყვასთან. ჩვენმა მეურნეებმა კახეთში უკვე გაიცნეს ეს ზარბაზანი. მეურნეს ეუბნებიან: შეიძინე ზარბაზნები, გახდი არტილერისტი და გამოჩნდება თუ არა სეტყვის წინამორბედი ღრუბელი, დაუშინე ზარბაზანი და სულ ბლღვირი ადინე მაგ შენ პირნახულის მტერსაო. კარგა ხანია ევროპის მეურნეები ასეთ არტილერისტებად გადაიქცნენ. მეტად გულ-მოდგინედ და მხნედ შეუდგნენ ესენი სეტყვასთან ბრძოლას. ღვთის წინაშე, ნაყოფიც მოიტანა ჰაერთან საარტილერიო ბრძოლამ: საკმაოდ ალაგმეს მოუსვენარი და მაბეზარი სეტყვა. მხოლოდ დიდი სიფხიზლეა საჭირო: ღრუბელს დროზე უნდა გაუწიონ ბრძოლა. კახეთში კი ამას წინად ზარბაზნების სროლა დაუწყიათ მაშინ, როცა სეტყვას უკვე ჩაურეგვნია ყველაფერი. ევროპის მეურნე-არტილერისტი კარგად იცნობს სასეტყვე ღრუბელს, დროზე მომართავს ხოლმე ზარბაზანს და იწყებს სროლას. ამბობენ, ზარბაზნების ჰექა-ქუხილით გამოწვეული ჰაერის ძლიერი ვიბრაცია ჰფანტავს ღრუბლებსა და, მაშასადამე, სეტყვასაც გვაცილებსო. ასეთია თეორია.

ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიის ბევრ კანტონში იტალიის წაბაძვით შეიძინეს „სამეურნეო არტილერია". წლიურ ბიუჯეტში ყოველთვის იხსენიებენ განსაკუთრებულ ხარჯს სამეურნეო ზარბაზნებისთვის.

⁂

არის ერთი ახალი აღმოჩენაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება, ჯერ იმითი, რომ ყოველი აღმოჩენა ახალ რამეს გვიშლის თვალ-წინ, ამრავლებს გამოკვლევებს და, მაშასადამე, შესაძლებლად ჰხდის კიდევ სხვა რამის აღმოჩენას. ერთის სიტყვით, აღმოჩენა იწვევს აღმოჩენას. ამის მაგალითი ათასობით არის მეცნიერების ისტორიაში. მეორე იმით, რომ ამ აღმოჩენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს აღმოჩენა კოლლარგოლია. პრაქტიკული მნიშვნელობა იმისი ისაა, რომ შესანიშნავი ანტისეპტიკური ნივთიერებაა.

დიდი ხანია მეცნიერებმა იციან, რომ ვერცხლის მარილებს (соли серебра) აქვთ ძლიერი ანტისეპტიკური ძალა, სახელდობრ საოცრად ჰხოცავენ ჩვენს მტრებს: ბაქტერიებს და ბაცილებს. მაგალითად, ვერცხლის აზოტისა და მჟავმბადის შეერთება იძლევა ერთ გვარ მარილს ($Aq\,NO^3$), რომელიც ძლიერი რამ არის: ერთი გრამმი ამ ნივთიერებისა საკმარისია 1600 ლიტრ ბულიონის სტერილიზაციისათვის. უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ამ ნივთიერების შეშხაპუნება ორგანოში ძლიერ მავნებელია, რადგან კიდეც სწვავს უჯრედებს და კიდეც სწამლავს. კაცობრიობის საბედნიეროდ, კოლლარგოლის აღმოჩენის შემდეგ ეს დაბრკოლება აღარ არის. მაგრამ ავხსნათ ჯერ, რა გვარად კეთდება ისეთი ნივთიერება, როგორც კოლლარგოლია და რომელსაც ფრანგები უწოდებენ metaux colloïdaux-ს.

ჩაუშვათ წმინდა წყალში ორი მოგრძო ნაფოტი პლატინისა და ამ ორ ნაფოტს შორის გაუშვათ ელექტრონის ზვირთი: ყოველი ნაპერწკალი ელექტრონისა მოაგლეჯს პლატინას პატარა, თვალით შეუმჩნეველ, ნაწილს და შეურევს იმას წყალს. თუ ამ საქმეს დიდ ხანს განვაგრძობთ, ბოლოს შევნიშნავთ, რომ წყალი ფერს იცვლის და სულ ბოლოს მღვრიე ხდება. ის პლატინის ნაგლეჯები, რომელიც წყალს შეერივნენ და აამღვრიეს, ისეთი პატარებია, რომ არა თუ ადამიანის თვალით, საუკეთესო მიკროსკოპითაც კი ვერ დაინახავთ. ამ ნაირად მომზადებული მღვრიე სითხე, რომელშიაც პლატინაა გაფანტული, არასოდეს არ დაიწმინდება. სწორედ ამ მღვრიე სითხეს უწოდებენ კოლლოიდალურ პლატინას. პლატინის მაგიერ ავიღოთ ვერცხლი და ისევე მოვიქცეთ, როგორც ზემოდ, მივიღებთ მღვრიე სითხეს, როგორც წინად, იმ განსხვავებით, რომ ამ მეორე სითხეში პლატინის მაგიერ ვერცხლი იქნება გაფანტული. ამ უკანასკნელ სითხეს უწოდებს კოლლარგოლი ანუ კალლოიდალური ვერცხლი. რაკი ეს სითხე მოამზადეს, მალე გაიგეს ანტისეპტიკური თვისება ვერცხლის მარილებისა და ამისდა მიხედვით სცადეს ანტისეპტიკური თვისება კოლლარგოლისა. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ იგი შესანიშნავი რამ არის.

მისი შეშხაპუნება ორგანიზმში არ არის მავნებელი, რადგან არა სწვავს უჯრედებს და როგორც საწამლავი, ძალიან სუსტი რამ არის. ბაქტერიებს და ბაცილებს კი მუსრს ავლებს. ერთ ნაწილი კოლლარგოლისა საკმარისია 6000 ნაწილ ბულიონის სტერილიზაციისათვის.

ეჭვი არ არის, ამ აღმოჩენას ბევრი კეთილი შედეგი მოჰყვება. თანამედროვე სამკურნალო მეცნიერება ძლიერ სუსტი იყო ზოგიერთ ავადმყოფობასთან ბრძოლაში. მაგალითად, ენდოკარდიტთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ექიმს აკლდა იარაღი იმასთან საბრძოლველად. ეს ავადმყოფობა აი რა არის: გულის შიგნეულ შიპს ესევიან ბაქტერიები, რასაც შედეგად ანთება და მერე სიკვდილი მოსდევს. კოლლარგოლის შეოხებით კი ეს ავადმყოფობა ველარაფერს დააკლებს ადამიანს. მართლაც ცდას ამ ახალ ანტისეპტიკურ ნივთიერებისას კარგი შედეგები მოჰყვა. იმის ხმარების შემდეგ ავადმყოფი უცებ უკეთდება, სიცხე ვარდება, ციებაც წყნარდება. კოლლარგოლი შეიძლება იხმაროს კაცმა ბევრ სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგაც.

ბ. გოგელია.

ჟენევა.

გები ისარგებლებენ ზაფხულის დროით და დაათვალიერებენ როგორც ჭართლის მონასტრის ნანგრევებს, ისე იმ ნივთებს, რომელიც ჯერ მეცნიერის თვალს არ უხილავს. ეს საქმე ადვილი მოსახერხებელია, რადგან სოფელი ჭართალი, როგორც ვსთქვი, ანანურიდან 12 ვერსის მანძილზეა.

დ. ბაგლიაშვილი.

წვრილი ამბები

წინასწარმეტყველებანი სერბიაში მომხდარ მკვლელობისა. სერბიის მეფე-დედოფლის მკვლელობა ერთ ლონდონელ დედაკაცს დაჭეშმარიტებით უწინასწარმეტყველნია. ამ წინასწარმეტყველებას დასწრებიან გაზეთ „Revievs of Revievs“-ის რედაქტორი, მთელს ევროპაში ცნობილი პუბლიცისტი სტედი და ორიოდე სხვაც. ეხლა ბ-ნი სტედი შემდეგს მოგვითხრობს:

„ექვსის კვირის წინად ერთ რედაქციაში შევიკრიბენით რამდენიმე კაცი ვიღაც ქალბატონ ბრჩოლის ჭკუა-გონების შესამოწმებლად. ეს დედაკაცი და მეტადრე იმისი მეგობრები ამტკიცებდნენ, რომ იმას აქვს ისეთი ნიჭი, რომლის ძალითაც იგებს მომავალს. მაგალითად, შეუძლიან სხვის ტანსაცმელის შემწეობით დაუახლოვდეს სპირიტიულად იმას, ვისაც ეს ტანთსაცმელი ეკუთვნის და გაიგოს იმისი წარსული, აწმყო და მომავალი. შეკრებილთ შორის ორი სხვა ამ გვარი დედაკაციც ერია: ვრენჩელი და მაქსი.

„პირველად ჩვენი ცდა უნაყოფო გამოდგა. ბრჩოლი ვერას იგებდა. მიზეზი ისაა, ამბობდა ბრჩოლი, რომ ოთახში ბევრი ხალხია შეკრებილიო. გარდა ამისა ხალხში თავს კარგად ვერ ვგრძნობო. მე სამივე წინასწარმეტყველი ქალი და ათამდე კაცი მივიწვიე სასტუმროს ცალკე ოთახში, რაზედაც არავინ უარს არ გამიხდა. სასტუმროს ოთახში შემდეგი განსაცვიფრებელი ამბავი ვიხილე. არ მოხსოვს სწორედ, რომელმა ქალმა იწინასწარმეტყველა ამ შემაძრწუნებელ მკვლელობაზე, მხოლოდ ის კი მახსოვს, ერთ-ერთ დედაკაცს გადავეცით სათამაშო ქაღალდი, წერილი თუ რაღაც სურათი, რომელიც მოკლულ სერბიის მეფეს ეკუთვნოდა. ქალი იმწამსვე ძლიერ აღელდა და წამოიძახა; „ვხედავ სასახლეს, მეფის სასახლეს... თვალნათლივ ვხედავ შიგნით მოწყობილებას ამ სასახლისას... ვხედავ მეფე-დედოფალს. ეხლა ბევრ ხალხსა ვხედავ. ვატყობ, ცუდ რაღაცაზედაც ჰფიქრობენ. ისინი მკვლელობის ჩადენას აპირებენ“. ამ სიტყვებზე წინასწარმეტყველი-ქალი ტანში მოიშალა, ცოტა ხანს შესდგა და მერე კიდევ წამოიყვირა: „აგერ ჰკლავენ კიდეც ისინი მეფეს! საბრალო დედოფალი, დაჩოქილა, ევედრება მეფეს საშველად. მეფე ვერ იფარავს როგორც იმას, ისე თავის თავს..მეფეს ჰკლავენ გულგრილად.მეფე მკვდარია..დედოფალს,საბრალო დედოფალს ვეღარ ვხედავ. არ ვიცი,რას უშვრებიან. ჩემის აზრით,ისიც მოკლულია. დაბეჯითებით კი ვერ ვიტყვი, რა ხდება ამ ჟამად. ყველაფერი არეულ-დარეულა. მკვლელობა, მხეცური მკვლელობა-ო მოსჩანს“...

ამ სიტყვებზე, ამბობს სტედი, წინასწარმეტყველი-ქალი ისე აღელდა და მოეშო სულით და ხორცით, რომ იძულებული ვიყავით სეანსი შეგვეჩერებინაო. „ეს ამბავი მოხდა რამდენიმე კვირის წინად. ორის დღის შემდეგ მესტუმრა სერბიის ელჩი ამ სეანსის სინამდვილის შესამოწმებლად. ვუამბე ყველაფერი ისე, როგორც ზემოდ მოგახსენეთ.

„ელჩმა ეს ამბავი ძალიან გაიკვირვა“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: რუსეთის რკინის გზების წესდების იმ მუხლის შეცვლა, რომელიც ფასდადებულ ამანათის გაგზავნას ეხება, აგრეთვე ისიც, რომ ტამბოვის გუბერნატორს დროებით, 1903 წლის 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე საგანგებო უფლებანი ეძლევა ტემნიკოვის მაზრის საზღვრებში. გზათა მინისტრის ამხანაგის პეტერბურგში არ ყოფნის დროს მისი თანამდებობის ასრულება მიენდო მინისტრის კანცელარიის დირექტორს ერმოლდოვს.

იალტა. რამდენიმე საათის განმავლობაში დიდი წვიმა იყო; სარდაფები წყლით აივსო; მაზრაში თამბაქოს პლანტაციები დაზიანდა.

ვენა. მეფე პეტრე მოვიდა საღამოს 10 საათზე. აქ ნახევარი საათი გაჩერდა. შეიკრიბა დიდძალი საზოგადოება, თითქმის მარტო სერბები. მეფეს „ჟივიო“-თი დახვდნენ. ვაგონში მეფემ სერბიის ელჩი მიიღო. შემდეგ პეტრე I გამოვიდა დებარკადერზე, სადაც ბურგომისტრმა სტამენკოვიჩმა ბელგრადის სალამი გადასცა; შემდეგ მივიდა სერბიის სტუდენტების დეპუტაციასთან, რომლის წარმომადგენელმა აღტაცებული სიტყვა უთხრა. ვაგონში დაბრუნების შემდეგ მეფემ მოისმინა სტუდენტების პატრიოტული სიმღერები. პატარა ქალმა გადასცა მეფეს თაიგული. მატარებელი რომ დაიძრა სადგურიდან, დამსწრენი აღტაცებით იძახდნენ „ჟივიო“-ს. რამდენიმე წამის შემდეგ წავიდა ბელგრადის დეპუტაციაც. მეფესთან არიან მისი ძმა არსენი შვილით და პრინცი გიორგი ყარაგიორგიევიჩი. იტალიის ელჩი რჩება აქ*), მაგრამ არ დაესწრება მეფის სადღესასწაულო მიღებას. ოსმალეთის ელჩი კონსტანტინეპოლში წავიდა და ამერიკისა—სოფიაში.

კიოლნი. სარწმუნო წყაროების მიხედვით, გერმანიის ელჩი არ დაესწრება მეფის მიღებას. სანამ მეფე ტახტზე არ ავა, ელჩის თანამდებობის ასრულება შეწყვეტილია.

სოფია. ბატკის მიდამოში ასამდე ოსმალელი ჯარისკაცი გადავიდა ბოლგარიის ტერიტორიაზე; ბოლგარიის სამხედრო პოსტმა ოცის ჯარის კაცისაგან წინააღმდეგობა გაუწია მათ. მოკლულია 20 ოსმალელი და 4 ბოლგარელი ჯარისკაცი. ოსმალები უკან დაბრუნდნენ.—გაზეთები იტყობინებიან, რომ საზღვარზე კიუსტენდილის ახლო, მოვიდა ოსმალეთის არტილერია. ოსმალთა რამდენიმე პოსტმა წითელი ბაირაღები აამართეს.

სერბიის მეფე-დედოფლის სიკვდილის გამო მთავარმა ფერდინანდმა გამოაცხადა ათის დღის მგლოვიარება.

სოფია. დაამარცხებენ თუ არა ბოლგარელთ რაზმს, ბაშიბუზუკები გარშემო სოფლებს სძარცვენ და მშვიდობიან მცხოვრებლებს ძალას ატანენ ბოლგარიაში გადასახლდითო. ადრიანოპოლის ვილაიეტიდან ეხლაც ბევრი ხალხი მიდის ბოლგარიაში; 3 ათას კაცამდე გადასახლდა კიდეც.

პარიზი. დელკასე აცნობა მთავრობას: რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა საფრანგეთის ჯარის მთავარ-შტაბის უფროსი მიიწვია ჯარის ადლუმზე, რომელიც ცარსკოე სელოს მიდამოებში იქნება გამართული 1-დან 8 აგვისტომდე.

პეკინი. რუსეთსა და ჩინეთს შუა მოლაპარაკება გამართული მანჯურიასა და ნიუ-ჩუანის თაობაზე. თავადმა ცინმა გამოაცხადა, ჩინეთი სულაც არა ცდილობს, რომ საქმეში იაპონია, ანუ დიდი ბრიტანია გაერიონ; ამ სახელმწიფოების დახმარება არც თუ საჭიროა ჩინეთს.

იოკოჰამა. სამხედრო მინისტრი კუროპატკინი ჯერ კიდევ კიოტოში იმყოფება.

ბელგრადი. თუმცა ცუდი ამინდი დგას, მაინც დიდ-ძალმა ხალხმა დილიდანვე გაავსო იმ ქუჩების მისავლები, სადაც ახალმა მეფემ უნდა გამოიაროს. ქუჩები მორთულია მრავლის ბაირაღით და ყვავილისა, ბალახისა და ფოთლის ხვეულებით. რამდენიმე სატრიუმფო კამარაა გამართული. რკინის გზის სადგურზე ელიან მინისტრები, გენერლები, ქალაქის საბჭო და სამხედრო დარაჯი მუსიკით. ნაშუადღევის ჰიმნის მაგივრად, მუსიკა ეროვნულ სიმღერებს უკრავს. სადიპლომატო კორპუსის წარმომადგენელთაგან რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩები მოვიდნენ, სხვები არ გამოცხადნენ. სადგურზე მეფეს აცკუმოვიჩი მიესალმა. აცკუმოვიჩმა სთქვა: მეფის ერთხმად არჩევა იმის დამამტკიცებელია, რომ მთელი ხალხი თანხმა იყო და ჰსურდა ამ არჩევნით სერბიის პირველ განმანთავისუფლებლის, დიდებულ ყარაგიორგიევიჩის დაუვიწყარ ღვაწლისათვის ეცა პატივი. ახალ მეფეს ხალხი იმ იმედით ეგებება, რომ ახალი მეფობა ახალ ხანას დაიწყობს და ეყვავებს სერბს დიდებულ მომავალს უქადის. სადგურის წინ რამდენიმე ასმა ახალგაზდა ქალიშვილმა გზა ყვავილებით მოჰფინეს. მეფე ეტლში ჩაბრძანდა. გზაში ყველგან, თვით ტაძრამდე ჯარები აღტაცებით ეგებებოდნენ. 300 კორპორაცია გაწყობილი იდგა ქუჩებში. ტაძარში პარაკლისი გადაიხადეს. პარაკლისის შემდეგ მეფე ახალ სამეფო სასახლეში წავიდა. იქ საერო კრების წევრები მიესალმნენ. დღეს საღამოთი გაჩირაღდნებულ პროცესიას გამართვენ. ხვალ მეფე საერო კრების წინ ფიცს მიიღებს, რომ კონსტიტუცია ერთგულად დაიცვას. მეფეს სერბიის გენერლის მუნდირი ეცვა და საგანგებო ეტლით მიდიოდა. ეტლში ოთხი შავი ცხენი ება; მეფეს გვერდით აცკუმოვიჩი ეჯდა. ხალხი ყველგან აღტაცებით ესალმებოდა, მეფე პასუხად სამხედრო სალამს აძლევდა. ეტლის წინ და უკან ცხენოსანი გვარდიის ნახევარ-ესკადრონი ახლდა მეფეს. მეფეს თან მოჰყვა იმისი ძმისწული დოქტორი და საფრანგეთის ჯარის პოლკოვნიკი ნენადოვიჩი.

ეკატერინოსლავი. სადგურ პესოჩნაზე საქონლის მატარებლები დაეჯახნენ ერთმანერთს; 18 ვაგონი და ლოკომოტივი დაზიანდა.

პეტერბურგი. 10 ივნისს დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლითა და შვილებით საზღვარ-გარედ წავიდა.

12 ივნისი.

მოსკოვი. სახელოსნო გამგეობა მოახდენს ხელოსანთა რჩევას იმ საკითხის გასარჩევად, თუ როგორ მოაწყობინონ სამუშაო დრო სახელოსნოებში.—ციმბირის ჭირთან საბრძოლველად ერობას სურს მოაწყოს დეზინფექცია იმ ჯაგრისა, რომელსაც ნითქის მრეწველები ხმარობენ.

როსტოვი დონზე. ქალაქის ელექტრონით განათების კონცესია გადაეცა სამხრეთ-რუსეთის საელექტრონო საზოგადოების ხელში.

როსტოვი დონზე. ცხვრის მომშენებლების ნაწილი ჰფიქრობს ციმბირში გადასახლებას, აკმოლინის ოლქში. ზოგნი იმათგანი მიწებს ჰყიდულობენ, ზოგნი იჯარით იღებენ.

ბელგრადი. აცკუმოვიჩი მეფეს მიესალმა სადგურზე; საპასუხო სიტყვაში მეფემ აღნიშნა მნიშვნელობა იმ მომენტისა, როდესაც იგი თავის ძვირფას სამშობლოში შედის 45 წლის განშორების შემდეგ. მეფე მადლობას უცხადებს აცკუმოვიჩს და მინისტრებს.

ბელგრადი. იმ სიტყვაზედ, რომლითაც პავლოვიჩმა მიჰმართა მეფეს ქალაქის თვით-მმართველობის სახელით, მეფემ უპასუხა, ყურადღებას მოვაქცევ, რომ ბელგრადი სერბიის ერის ღირსი ქალაქი იყვესო.

ბელგრადი. როდესაც მინისტრმა კალიევიჩმა მეფის ოთახში შესვლისთანავე მეფეს ჩარიკოვი წარუდგინა, მეფემ სთქვა, ძალიან მოხარული ვარ, რომ რამწამს სამშობლოში შემოვდგი ფეხი, ყველაზე უწინ რუსეთის იმპერატორის წარმომადგენელს ვხედავო.

ნაშუადღევის 4-ს საათზე მეფე პოლკოვნიკ პოპოვიჩთან ერთად გამოვიდა ახლად ეტლით ახალ სასახლიდან მორთულ ქალაქის დასათვალიერებლად. ხალხი მეფეს სიხარულით მიესალმა. სასახლის ბაღში მუსიკის ორკესტრი უკრავს.

ბელგრადი. საღამოთი ქალაქი საღდესასწაულოდ გაჩირაღდნეს. 9½ საათზედ ხალხმა მაშხალებით გაიარა, წინ მიუძღოდა ცხენოსანთა პიკეტი. მეფე, მინისტრებით გარშემორტყმული, აივანზედ გამოჩნდა და წაიკითხა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, ჩემ საგვარეულოს ტრადიციასამებრ, მეც ვეცდები ხალხს მივცე ყველაფერი, რაც კი მისთვის საჭიროაო. ყოველ მხრიდან „ჟივიო“ გაისმა. საღამოს 10-ს საათზედ ყველაფერი გათავდა. დღის განმავლობაში ხალხი მხიარულობდა, ცეკვავდა და მღეროდა. პოლკოვნიკი ნაშიჩი, რომელიც მეფეს თან ახლდა ქალაქში სეირნობის დროს, მეფე ალექსანდრეს ადიუტანტი იყო მის ქორწინებამდის. მეფის უშიშრად გამოსვლა ხალხს ძალიან მოეწონა.

ბელგრადი. სადგურიდან მეფის კორტეჟი სობორისაკენ გაემართა. კორტეჟი მიდიოდა შპალერებს შუა, რომლებიც კორპორაციებმა, სტუდენტებმა, სხვა-და-სხვა დაწესებულებებმა, ჯარმა და ხალხმა შეადგინეს. ხალხი მეფეს აღტაცებით მიეგება და ყოველ მხრიდან ყვავილებს ესროდა. საპარადო კარეტაში მეფე აცკუმოვიჩთან ერთად იჯდა.

კონსტანტინეპოლი. რადგან ხმა გავრცელდა, რომ ვითომც ახალი შეთქმულობაა, პორტა შეეკითხა სალონიკის გუბერნატორს და პასუხად მიიღო, რომ ეგ ხმები სიმართლე არ უნდა იყოს, მაგრამ გასაფრთხილებელი ზომები მიღებულიაო. ხილმი-ფაშა დეპეშით იტყობინება, რომ 8 ივნისს დაპატიმრებულ ბოლგარელთა რიცხვი სალონიკის ვილაიეტში 80-ს უდრის, უსკიუბისაში, —280, მონასტირისაში,—460. განკარგულება მოუხდენია, რომ დააჩქარონ პირველი გამოძიება, ამასთანავე საჯაროდ გამოაცხადა, რომ ის მცხოვრებნი, რომელნიც კომიტეტებისაგან მიღებულ იარაღებს დაუბრუნებენ, აღარ დაისჯებიან.

ლონდონი. ადენში გენერალი მანინგი ისე შევიდა დამოტში, რომ დაბრკოლება არავის აღმოუჩენია.

ბუდა-პეშტი. ჰედერვარიმ გამოუცხადა კოშუტის პარტიის მეთაურებს, კანონ-პროექტს ახალ ჯარის კაცების შესახებ უკან წავიღებო. ამნაირად ჰედერვარი ოპოზიციას მოურიგდა. საღამოთი ვენაში წავა, ხვალ კიდევ უკანვე დაბრუნდება სამინისტროს შესადგენად.

ბელგრადი. ტაძრის შესავალში მეფეს მიტროპოლიტი დაუხვდა. ტაძარი ხალხით იყო გაჭედილი. მიტროპოლიტი მოკლედ მიესალმა და მეფე ტაძარში შევიდა. პარაკლისის შემდეგ მიტროპოლიტმა სიტყვა წარმოსთქვა. მოკლე დროვის შემდეგ მეფე ეკლესიიდან გამოვიდა. ხალხმა ოვაცია გაუმართა. მეფე თავის მხლებლებით სასახლეში წავიდა. სასახლეში მეფემ ხალხს მადლობა გადაუხადა და მოწონებით გამოაცხადა, რომ ყოველთვის საერო კრების თანხმობით ვიმოქმედებო. მეფემ ყველას ხელი მიაწოდა. ოვაციების გამო მეფე აივანზე გამოვიდა; ხალხი ხელმეორედ მიესალმა. მთელი ქალაქი ძლიერ გახარებულია. მაღაზიები დაკეტილია.

---

*) ცხადია, რომ ბელგრადში.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 10 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,37½
ლონდონზე ჩეკები	94,50
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	410
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ მყიდვ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100⅞ „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95½ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	442 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290 „
5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	185½ გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) **ტფილისიდან მიდის:**

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო ნაშუაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუაღლის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) **ბათუმიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) **ბაქოდან გამოდის:**

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 [illegible] წ.).

დ) **ქუთაისიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს.48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მისის უმაღლესობის პრინცის ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—80)

Дозв. ценз. Тифлисъ, 12 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)